ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9723254001**
თარიღი:**11/09/2023**

ლენტეხის მუნიუციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-15

დ. ლენტეხი. 5 სექტემბერი.2023წ.

მიმდინარე წლის 5 სექტემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 6(ექვსი წევრი).

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი და მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ- ტერიტორიულ ერთეულებში.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე.

   /მომხს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ლიპარტელიანი/

2. თენგიზ გაზდელიანის მემორიალისთვის ადგილის გამოყოფის შესახებ.

   /მომხს. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ.პირველი/

   შენიშვნა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

   ღია კენჭისყრის შედეგით:

   მომხრე - 15

   წინააღმდეგი -0

   დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

3. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა წარმოადგინა საკითხი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე.

   მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2012 წლიდან დაწყებული დაგროვილია საკითხები ლენტეხის მუნიციპალიტეტში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე. ადგილობრივად მიღებულია გადაწყვეტილებები სახელდებაზე და სახელდების პროცესი ბოლომდე არ არის მიყვანილი, კერძოდ მიღებული გადაწყვეტილებები სამთავრობო კომისიაში არ არის გადაგზავნილი შესათანხმებლად. წინა სხდომაზე ჩვენ ვიმსჯელეთ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე განხილული და მომზადებული მასალა გადაგვეგზავნა სამთავრობო კომისიაში შესათანხმებლად. გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი და ეს მასალა შესაბამის წერილთან ერთად გაიგზავნა სამთავრობო

კომისიაში, მაგრამ მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა წერილი, რომ გაგზავნილ მასალაზე გვაკლია პიროვნებების ბიოგრაფიები და ამავე დროს იმ პირებზე, რომელთა გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, უნდა მოვამზადოთ განკარგულების პროექტები დაჩქარებული წესით სახელდებაზე. მიღებული რეკომენდაცია გავითვალისწინეთ და მოვამზადეთ გასაგზავნი მასალა, მათ შორის ბიოგრაფიებიც. იმ პიროვნებებზე, რომელთაც გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, მომზადდა განკარგულების პროექტები დაჩქარებული წესით მიღების თაობაზე. 2012 წლიდან სახელდებაზე მიღებული განკარგულებებიდან 12 განკარგულებაზე გვჭირდება ზემოთ აღნიშნული დამატებითი მასალის გაგზავნა სამთავრობო კომისიაში.

განკარგულების პროექტები დაჩქარებული წესით მიღების თაობაზე მომზადებულია შემდეგ პირებზე:

1. ჭიდაობა ძიუდოში პირველი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ქალი ეთერ ლიპარტელიანი;

2. ვახტან გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის და ეროვნული გმირის ორდენის კავალერი ალეკო ონიანი;

3. დამსახურებული სპორტსმენ-ძიუდოისტი გურამ გუგავა;

4. კულტურის დამსახურებული მუშაკი - შურმან ბენდელიანი;

5. ღირსეული ლენტეხელიი, ლელო-ბურთის ნაკრების და ანსამბლების ლაგუსედას და ლილეს წევრი ჯემალი ბენდელიანი;

6. წარმატებული სპორცმენი ფრენბურთსა და კალათბურთსი რუსუდან ბენდელიანი;

7. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხელბურთში, სპორტის ოსტატი -თენგიზ გაზდელიანი;

8. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვასო ონიანი;

9. ცნობილი მსახიობი და ხელოვანი ამირან ლიპარტელიანი,

10. სოფ ხალდეს მოსახლეობის გმირობის გათვალისწინებით დაბა ლენტეხში სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიას მიენიჭოს ხალდეს ქუჩა;

11. სამამულო ომის მონაწილე გრიგოლ გუგავა;

12. სამამულო ომის მონაწილე ალექსი გაზდელიანი.

სხდომის წევრები გაეცვნენ წარმოდგენილ მასალას - ბიოგრაფიებს და განკარგულების პროექტებს.

აზრი გამოთქვეს: ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წევრებმა კახა ლიპოარტელიანმა და სოსო ავალიანმა - თითოეული წარმოდგენილი პიროვნება არის ღირსეული და სახელოვანი და მისაღებია ეს საკითხები გადაწყდეს დადებითად.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,, მოქალაქეები საქართველოსთვის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ბენდელიანმა: ძალიან მასიური სახე მიიღო ამ პროცესებმა. ყველას გაუჩნდა ამბიცია სახელდებაზე და არ არის ჩემთვის პირადად ეს საკითხი მისაღები.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ - გიორგი გაზდელიანმა - ჩვენი ვალდებულებაა სამართლებრივად გავასწოროთ ეს საკითხები და განკარგულების პროექტები შესათანხმებლად გადაეგზავნოს გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას. კომისია თუ ჩათვლის საჭიროდ და დაგვრთავს ნებას მივიღებთ აღნიშნულ განკარგულებებს. მომავალში, თუ ოცი წლის შუალედი არ იქნება გარდაცვალებიდან თავს შევიკავებთ ასეთი საკითხების განხილვაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი - წარმოდგენილი განკარგულებების პროექტების დაჩქარებული წესით მიღების თაობაზე დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე - 14

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა - 1 დეპუტატმა.

გადაწყვიტეს მომზადებული განკარგულებების პროექტები ბიოგრაფიებთან ერთად გადაეგზავნოს სამთავრობო კომისიას.

2. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი - თენგიზ გაზდელიანის მემორიალისთვის ადგილის გამოყოფის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 31 მარტს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ინიციატივით შემოვიდა ქალბატონი მაყვალა გაზდელიანი - მუნიციპალიტეტის დამინისტრაციული შენობის წინ მდებარე მოედნზე, რომელიც არის თენგიზ გაზდელიანის სახელობის გამოიყოს ადგილი , სადაც განთავსდება ღვაწლმოსილი ლენტეხელის თენგიზ გაზდელიანის მემორიალი. საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე , შემდეგ განვიხილეთ საკრებულო სხდომაზე და საკრებულოს გადაწყვეტილებით დამევალა მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად ადგილის შერჩევა. მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად შევარჩიეთ ადგილი ჯემალი ბეხდელიანის სახელობის წყაროსა და შინმოუსვლელთა მონუმენტს შორის.

საკრებულოს წევრებმა მოიწონეს შერჩეული ადგილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

1. გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - თენგიზ გაზდელიანის მემორიალისთვის ადგილის გამოყოფის შესახებ.

2. სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა მიმართა მერს - რწმუნებულებთან ერთად ემსჯელა სოციალურ დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

   მერმა პასუხად აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, რომ მოქმედებს ეს პროგრამა, მაგრამ ვერ მოწესრიგდა ეს საკითხი ისე რომ თანაბარ პირობებში იყოს ყველა დასაქმებული. გათვალისწინებული გვაქვს კომისიის შექმნა, რომელშიც ჩაერთვებიან შესაბამისი თემების მაჟორიტარი დეპუტატები, რწმუნებულები და აიპიების ხელმძღვანელები. ვფიქრობთ, რომ კომისია ასეთი შემადგენლობით უფრო ეფექტურად იმუშავებს.

   მერის ინიციატივა კომისიის შექმნაზე მოიწონეს სხდომაზე დამსწრე ჩოლურის და ხელედის თემების რწმუნებულებმა. აღნიშნეს, ეს მიდგომა შეუმსუბუქებთ მათ პასუხისმგებლობას.

   ხოფურის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ლიპარტელიანმა მერს მიაწოდა ინფორმაცია თემში შემავალ ზოგიერთ სოფელში ინტერნეტის არქონის გამო შექმნილ პრობლემაზე.მან აღნიშნა, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავე იქნება სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

   მერმა პასუხად აღნიშნა, რომ ამ საკითხს დასვამდა გუბერნატორთან და იზრუნებდა უახლოეს პერიოდში ამ საკითხის მოგვარებაზე.

   ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი